60 გზა, საუკუნეების ბადალი

გამარჯობა, მზიური აჭარავ!

მხურვალე სალამი აჭარის მშრომელებს — ჩვენს გულით ძმებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 სამშაბათი 18 ოქტომბერი № 244 (16984) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ზ აუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას — XX საუკუნის მთავარ მოვლენას, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული შემობრუნების დასაბამს!

ზ აუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობას — ოქტომბრის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიად მონაპოვარს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

ეს წარმაჯებით დავამთავროთ საიუბილეო წელი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ცხრა თვის შედეგებისა და საიუბილეო, 1977 წლის დამთავრების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. კოლბინმა.**

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილი,** რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **გ. გამცემლიძე,** რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი **ნ. მეძმარიაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **რ. ჯაფარიძე,** საქართველოს სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ქართველიშვილი,** „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ უფროსი **შ. ბუხრაშვილი,** „საქენერგოს“ უფროსი **უ. ცქვიტინიძე** და სხვები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რესპუბლიკის წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში მიღწეული ახალი წარმატებებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჩვენგარეშე მეშვიდე სესიაზე ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის დამტკიცებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებს ამ სესიაზე.

საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმმა, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს მუშაკთა შემოქმედებითმა აქტიურობამ განაპირობეს საიუბილეო, 1977 წლის ცხრა თვის გეგმისა და ვალდებულებათა შესრულების წარმატებანი.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გაკეთეს იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამშენებლო კოლექტივების წინანდელზე გაცილებით უკეთესი მუშაობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ რთულ საკითხებში ყველაზე დიდმნიშვნელოვან, განმსაზღვრელ საკითხებს ავლენენ და ეფექტიან ღონისძიებებს ახორციელებენ მათს გადასაწყვეტად.

ამის შედეგად მრეწველობაში მნიშვნელოვანი გადაჯრაბებით შესრულდა როგორც მთლიანი პროდუქციის წარმოების, ისე რეალიზაციის დავალებანი, მკვეთრად შემცირდა ჩამორჩენილი საწარმოთა რიცხვი, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი.

წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ზრდის ტემპი განსაკუთრებით სწრაფია, პირველად სრულდება განსაჯარო სამუშაოთა მოცულობის გეგმა, საიმედო მარაგნამეტი იქმნება სასკოლო მშენებლობაში, ძალებსა და მატერიალურ რესურსებს თავს უყრიან საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ასამოქმედებელ ობიექტებზე.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მშრომელებმა: მიღებულია ჩაის, კარტოფილის, ბოსტეულის უმაღლესი მოსავალი, წინანდელზე უფრო ორგანიზებულად არის აღებული პამიღორის, კურკოვანი, ხილის და სხვათა მოსავალი.

არის მიღწევები სოციალურ სფეროშიც. მაგალითად, მშრომელთა ხელფასი 3,5 პროცენტით გაიზარდა. სახელმწიფო ვაჭრობის ქსელმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მოსახლეობის მომარაგება ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით.

ბევრი რამ გაკეთდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, რაც კმაყოფილებით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

მაგრამ მომხსენებელმა და სხდომაზე გამოსულებმა მიღწეულ წარმატებებზე მხოლოდ იმისთვის ილაპარაკეს, რომ მათი გაანალიზების შედეგად განსაზღვრათ შემდგომი წინსვლის ოპტიმალური გზები. მათ მთავარი ყურადღება დაუთმეს ეკონომიკის განვითარების ნაკლოვანებების, მათი აღმოფხვრის შესაძლებლობების განხილვას იმ მიზნით, რომ უფრო სრულად გამოიყენონ ყოველივე საუკეთესო ორგანიზაციულ-პარტიული და სამეურნეო მუშაობის გამოცდილებიდან და წარმატებით დამთავრონ საიუბილეო წელი, ყოველმხრივ მოემზადონ მეათე ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების გადასაწყვეტად.

სხდომაზე საფუძვლიანი და პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა იმის გამო, რომ აუცილებელია კიდევ უფრო გაძლიერდეს სამრეწველო წარმოების მიღწეული ტემპი. რესპუბლიკაში მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 103,1 პროცენტით, ანუ შარშანდელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 106,6 პროცენტი, თუმცა წლის ვალდებულებებით გათვალისწინებულია 107,1 პროცენტი. ზრდის არასაკმაოდ მაღალი ტემპი იმით აიხსნება, რომ თავდაპირველი გეგმები შემცირებულია და დავალებანი გადატანილია წლის დამთავრებისათვის — მეოთხე კვარტალისა და დეკემბრისათვის. ეს უხეირო, მანკიერი პრაქტიკა მწვავედ გააკრიტიკეს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ გეგმების კორექტირების საჭიროება ზოგჯერ მართლაც ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული, მაგრამ სრულიად შეუწყნარებელია, როცა საწარმოები ამ საშუალებას იმისათვის მიმართავენ, რომ გაიუმჯობესონ პირობები, შედეგად კი, როგორც წესი, იო�d გადაჭარბონ შემცირებულ დავალებებს. ამასთან დაკავშირებით სხდომაზე მოიყვანეს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს, „საქმინსილწყლების“, „საქმელიორაციისა“ და სხვათა კონკრეტული მონაცემები.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ რესპუბლიკის ყოველი მეექვსე საწარმოს მუშაობის დონე შარშანდელზე დაბალია. ამავე დროს, როგორც გამოანგარიშება გვიჩვენებს, ამ საწარმოებს რომ შეენარჩუნებინათ წარმოების შარშანდელი დონე, რესპუბლიკა ცხრა თვეში დამატებით მიიღებდა თითქმის 74 მილიონი მანეთის პროდუქციას, რაც არსებითს გავლენას მოახდენდა წარმოების ზრდის ტემპსა და წლიურ ვალდებულებებზე. ასეთ საწარმოებში ცუდად ითვალისწინებენ და იყენებენ შინაგან რეზერვებს. სამეურნეო ხელმძღვანელმა ქმედითი ორგანიზაციული, ეკონომიკური და ინჟინერული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

წარმოებას საგრძნობ ზარალს აყენებს შრომის ნაყოფიერების ზრდის დაბალი მაჩვენებლებიც, რომლის ხარჯზეც მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების მხოლოდ 70 პროცენტი, სოციალისტური ვალდებულებების თანახმად კი 85 პროცენტი უნდა ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ ბევრ საწარმოში პროდუქციის მატების მნიშვნელოვანი ნაწილი დამატებითი მუშაკების გამოყენებით არის მიღებული. მთელ რიგ დარგებში კი (მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროთა სისტემებში) მატებას მხოლოდ და მხოლოდ ასეთი გზით იღებენ. ამავე დროს წარმოების მიღწეული მოცულობისა და სამრეწველო-საწარმოო პერსონალის იმავე რიცხვის პირობებში გეგმის ფარგლებში შრომის ნაყოფიერების ზრდა უზრუნველყოფდა პროდუქციის მატებას ნაკისრ ვალდებულებათა დონეზე.

შრომის ნაყოფიერების ზრდას არსებითად ამცირებს სამუშაო დროის დიდი დანაკარგები და კადრების დენადობაც. თუმცა დროის დანაკარგები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რამდენადმე შემცირდა, მაინც გადაჭარბა 500 ათას კაცდღეს. ამის შედეგად სახალხო მეურნეობას დაეკარგა 44 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საიუბილეო წლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დაუსახა მრეწველობის მუშაკებს, ის არის, რომ უთუოდ შეასრულოს გეგმები ყოველმა საწარმომ. მაგრამ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის ჩამორჩენილი საწარმოები. ხშირად ისმის: იმედიც აქვთ, ზემდგომი პარტიული და სამეურნეო ორგანოები დაგვეხმარებიან და წლის დამლევამდე დავძლევთო ჩამორჩენას. სხვა შემთხვევებში საჭირო ხდება ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის გადაუდებელ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება.

მეოთხე კვარტალის გეგმა მრეწველობაში დაძაბულია, მაგრამ გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ მისი შესრულება სავსებით რეალურია. როგორც სხდომაზე ითქვა, ამაში გვარწმუნებს მიმდინარე წლის ცხრა თვის მუშაობის არც თუ ცუდი შედეგები. მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ წარმოების თითოეული უბნის გეგმების შესრულებისადმი, უნდა გამოვიყენოთ არსებული რეზერვები, ეკონომიკური და მორალური სტიმულირების ბერკეტები, ყველაფერი ვიღონოთ, რომ აქტიური გავლენა მოვახდინოთ საქმის მდგომარეობაზე.

სხდომაზე აღინიშნა ავრეთვე პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოების, ნომენკლატურის გეგმების შესრულების საკითხებისათან დაკავშირებული საკითხები.

მოხსენებასა და მთელ რიგ გამოსვლებში აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მშენებლობაში მომხდარი ზოგიერთი დადებითი ცვლილება მაინც არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, თითქოს დარგში ძირეული გარდატეხა მომხდარიყოს. ზრდის უფრო სწრაფ ტემპთან ერთად ჯერ კიდევ არის სერიოზული ბანსხვავება ბევრი უმნიშვნელოვანესი საგეგმო მაჩვენებლის შესრულებაში. ამოქმედდა დაგეგმილი ძირითადი ფონდების მხოლოდ 78 პროცენტი, ათვისებულია კაპიტალური დაბანდების 95 პროცენტი. წლის დამლევამდე დარჩენილ დროში უნდა ავამოქმედოთ ერთნახევარჯერ მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე წლის დამდეგიდან ამოქმედდა.

ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია სისტემატურად ვერ ასრულებს საგეგმო დავალებებს. ესენია რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 5 და „სპეცმშენის“ ტრესტები, აგრეთვე თბილისის, ბათუმისა და გორის სახლსაშენებელი კომბინატები, სახოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტი. სერიოზულად ჩამორჩა „საქსოფლელექტრომშენის“ ტრესტი. მოწინავე პოზიციებს თმობს ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტი.

სხდომაზე აღინიშნა, თუ რა დიდია შემკვეთთა როლი. მხოლოდ შემკვეთისა და მოიჯარის ერთობლივი შეთანხმებული მეცადინეობით გადაწყდება წარმატებით ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის საკითხები. ამასთან დღემდე გადაცემული არ არის ათობით ობიექტი, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან უნდა ამოქმედებულიყო. ამ ობიექტებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგების ორგანიზაციული მუშაობა კი მხოლოდ ტელეფონის რეკვითა და უშედეგო კამათით შემოიფარგლება.

აღმოფხვრილი არ არის სერიოზული ნაკლოვანებანი საბინაო მშენებლობის — დარგის უმნიშვნელოვანესი უბნის ორგანიზაციაში. მშენებლებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს გასული წლის გეგმა და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის პროგრამა, შემდეგ უკლეს ტემპს, და მხოლოდ საგანგებო ღონისძიებებით უზრუნველყვეს მთლიანად ცხრა თვის პროგრამის რეალიზაცია. მაგრამ მშენებლობის სამინისტროს 20 ორგანიზაციიდან, რომლებიც საცხოვრებელ სახლებს აშენებენ, ათმა ვერ შეასრულა გეგმა, რომელსაც 63 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი დაიკლო. მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვთ № 4, 5 და 6 ტრესტებს, ქუთაისის სახლსაშენებელ კომბინატს. სათანადო ყურადღებას არ უთმობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხებს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, რომელმაც საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ცხრა თვის გეგმა მხოლოდ 75 პროცენტით შეასრულა.

მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებიც ცდილობენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების სისტემატური აუთვისებლობა იმით გაამართლონ, რომ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე უფრო იაფად აშენებენ და ამბობენ, ფული ტუუილად „იკარგებაო“, თითქოს მშენებლობის გაიაფების გზით არ შეიძლებოდეს მისი მოცულობის გადიდება, როგორც ამას ქუთაისსა და რუსთავში ახერხებენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განხილულ საკითხებზე მიიღეს გადაწყვეტილებანი, რათა გაუმჯობესდეს რესპუბლიკის ეკონომიკის ყველა დარგის საქმიანობა მიმდინარე წლის დარჩენილ პერიოდში, ყოველმხრივ მოემზადონ ხუთწლედის მომავალი, მესამე წლისათვის. (საქინფორმი).

18-19 ოქტომბერს თბილისში მეწყობა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღემები

1-ფოტოაპარატით საბჭოთა აჭარაში

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილია დიდი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების მქონე ბათუმელებისათვის.

ნობათები სამშობლოს

აჭარა საოქტომბრო ვაჭრობაზე

ბათუმიდან მთელ მსოფლიოში

ბათუმი. (საკ. კორ.). მსოფლიოს რუკაზე ხაზები რომ გავავლოთ ბათუმსა და იმ ქვეყნებს შორის, სადაც ბათუმური პროდუქცია მიდის, მთელი რუკა ხაზებით დაიფარებოდა.

შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ქვეყნის ექსპორტში აჭარას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ნავთობისათვის ბათუმის ნავსადგურში ოცდაათი ქვეყნის გემი უნვევს ღუზას. ბათუმური წყალქვეშაფრთიანი კატარღები სერავს ამერიკის, ყუბის, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ათეულობით სხვა ქვეყნის წყლებს. ელექტროკარხსა და ელექტრონულ-ნიკურ პროდუქციას ყიფლობენ ავსტრალიისა და აზიის მრავალი სახელმწიფო, პოლონეთი, უნგრეთი და სხვა დემოკრატიული ქვეყნები. ჩაის ფაბრიკების სრული აღჭურვილობა მზადდება ვიეტნამისათვის, ციტრუსი და ჩაი იგზავნება პოლონეთში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში.

აჭარის საექსპორტო საქონელი ყოველწლიურად ახალ ბაზრებს იპყრობს.

მეათე ხუთწლედში აშენდება

ბათუმი. (საკ. კორ.). დიდებული სანახაობა აჭარის მშენებარე სოფლები და ქალაქები, სად არ შენიშნავთ ამაყად მდგარ ამწეებსა და ხარაჩოებში ჩასმულ შენობებს.

ასეთი დიდი მასშტაბის მშენებლობები არასოროს არ ყოფილა. მარტო მეათე ხუთწლედში კაპიტალური მშენებლობა 36 პროცენტით გაიზრდება — საამისოდ სახელმწიფომ 200 მილიონ მანეთზე მეტი გამოიყო. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 289 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გაფართოვდება ნავთობგადასამუშავებელი და ქიმიურ-ფარმაცევტული ფაბრიკა, ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზა, რომლებზეც დაიხარჯება ოც მილიონ მანეთზე მეტი. ქობულეთის რაიონში აშენდება ჩაის ფაბრიკა, მრავალსართულიანი სასტუმრო, მაღლივი ტიპის ჯანმრთელობის კერები და სხვა. აჭარის ისედაც თვალწარმტაცი გარემო კიდევ უფრო დამშვენდება.

აჭარის მეთამბაქოეთა წარმატება

ბათუმი. (საკ. კორ.). სეზონის დაწყებიდან 10 ოქტომბრამდე აჭარის ასსრ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეტეხილი და ანგმესილია 33 მილიონ 72 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, რაც წლიური გეგმის 100,2 პროცენტია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ანგმესილია 4 მილიონ ზონარმეტრზე მეტი თამბაქო.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ ბეღელი მეთამბაქოეები.

თამბაქოს შეტეხვა-ანგმესვა წარმატებით გრძელდება.

საჩუქრად გამელეგს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის აღსანიშნავად ბათუმის სახელმწიფო რევოლუციურმა მუზეუმმა ნია-გრუზინსკაიას მშენებლებს ამ დღეებში გაუგზავნა ფოტოკომპლექტი, რომლებშიც 100 სურათი და დოკუმენტია.

ფოტოსურათებზე აღბეჭდილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ეპიზოდები, პირველი ხუთწლედები, დიდი სამამულო ომი, სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების მასალები, მეათე ხუთწლედის მოწინავენი.

გ. ჩხაიძე.

მიესალმებიან თბილისელები

განსაკუთრებული შრომითი ენთუზიაზმი სუფევს დიდი იუბილეს წინ ჩვენთან. ახლა, როცა ჩვენი ოდაძლი ძმების ღღეები იწყება ოდიაქალაქში, ჩემი ქარხნის მშრომელთა სახელითა და დავალებით გულითადად მივესალმები მზიური აჭარის წარმომადგენლებს.

გვეხდეთ, ძვირფასო აჭარელი ძმებო, რომ დედაქალაქის მუშათა კლასი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იქნება და სასახელო შრომით შეხვდება ოქტომბრის ზეიმს.

გურამ მეტონიძე

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ-ქარხნის ელექტრომეონტაჟეთა ბრიგადირი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატი.

□

მეც მინდა ამ საერთო ზეიმს ერ სიხარულს ჩემი გულის ხ შევეუერთო. თქვენი სტუმრობ დედათბილისში, ძვირფასო ძმებ და მეგობრებო, მთელი ჩვენი რ სპუბლიკის მუშათა კლასი გაიხ რებს.

ზურაბ სარალიძ

თბილისის კიროვის სახელობის ჩაიხარხაშენებელი ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

□

გულით მივესალმები ჩვენ რესპუბლიკის დედაქალაქში მართული საბჭოთა აჭარის დ ების მონაწილეებს, ყველა ა რელ თანამოძმეს.

აჭარელ. მშრომელთა მიღ ვები მკაფიოდ ადასტურებენ ს ჭოთა საზოგადოებრივი და სა მეწყობრივი წყობილების ბა რკვევის ცხოველმყოფელ სი თეს.

დიდი რევოლუციური წარს ლის აჭარა ზეიმობს, შრომასა მეგობრობაში სჯიდს თავის დნიერ აწმყოს და კიდევ უკეთ მომავალს.

რაფიელ დვალ

საქართველოს სსრ მეცნ რებათა აკადემიის აკადემი სი.

□

ძმის ოჯახის ზეიმი ჩემი ზ მიც არის. ასე ვფიქრობ ა როცა აჭარის დღეები იწყება თ ლისში.

მე უდიდესი სიამაყით ვატ ქალაქ ბათუმის საპატიო მოქ ქის წოდებას. ამ ქალაქთან ბე სასიამოვნო მოგონება მაკავ რებს.

მუდამ დღეგრძელი იყოს ს ჭოთა აჭარა — ჩემი საოცნ და საყვარელი მხარე.

ლადო გუდიაშვილ

სსრ კავშირის სახალხო ბ ვარი, სოციალისტური შრ მის გმირი.

16-17 ოქტომბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

„პარტია მიგვიძღვის“ — ასე ჰქვია „პრავდის“ 17 ოქტომბრის ნომრის მოწინავე წერილს, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს ეძღვნება.

„დღესასწაულის წინ, — ნათქვამია მოწინავეში — პარტიის მოწოდებანი საბჭოთა ადამიანების მეცადინეობას წარმართავენ საიუბილეო 1977 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. ვბაძავთ რა სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა მაგალითს, უნდა დავძლიოთ ახალ-ახალი მიჯნები ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის“.

სამინისტროების, გაერთიანებათა და ცალკეულ საწარმოთა მუშაობის შეფასების სისტემის სრულყოფა მნიშვნელოვანი სადღეისო ამოცანაა, რომელიც პარტიის XXV ყრილობამ დასახა. ამის შესახებ არის ოლაპარაკი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის **ვ. სობოლევის** სტატიაში **„არა მარტო მოცულობა“.**

ნომერში დაბეჭდილია არაერთი საინტერესო მასალა **„ამინდიან საიუბილეოების ამოსაცნობად“, „სპეციალური რეიხი“** და ა. შ.

კვირის ნომერში ყურადღებას იქცევს ბელორუსიის სახალხო პოეტის, სოციალისტური შრომის გმირის **პეტრუს ბროვკას** პუბლიცისტური სტატია **„ცისკარი ადამიანზე“.** რომელიც დაბეჭდილია რუბრიკით — **ეპოქა გაზეთის სტრიქონით.**

ჩვენს ქვეყანაში ელექტრონიკის განვითარების პრობლემებს, ადამიანისა და კოლექტივის ურთიერთობის თემას, მეფფტკრეობის განვითარების პერსპექტივებს ეძღვნება წერილები **„მაგიური კრისტალის“ საზღვრები“, „გულგრილობის ლოგიკა“, „თაფლის გემო“,** რომლებიც მისამე გვერდზია გამოქვეყნებული.

ამავე ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენტია თბილისიდან **„ექსპონატების ენით“.** მასში ნათქვამია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საბჭოთა ოსეთისა და ... ...

60 გზა, საუკუნეების ხალალი

საბჭოთა აჭარა — ასე იწრთობა, ცვალება

ოქტომბრით ალორძინებული

ვახტანგ პაპუნიძე,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ეთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აჭარის მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანება, ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის ოქტომბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის გადწყვეტილებებმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ და საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის, მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონის მიღებამ.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: **„გაივლის წლები, ათწლეულები, მაგრამ ოქტომბრის ეს დღე სამუდამოდ დარჩება ხალხის მეხსიერებაში, როგორც ხალხის ხელისუფლების ლენინური პრინციპების ნამდვილი გამარჯვების მკაფიო დადასტურება“.** 1977 წლის 7 ოქტომბრი ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი სამშობლოს გმირულ მატიანეში.

ნიშანდობლივია ის მოვლენა, რომ ახალი კონსტიტუცია მიღებულ იქნა ჩვენი სამშობლოს სახელოვანი მე-60 წლისთავის იუბილეს წინადღეებში და ასახავს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ გრანდიოზულ მიღწევებს. მასში მოცემულია ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიული გზის ყველა წარმატება, დასახული წინსვლისა და აყვავების ახალი დიდებული პერსპექტივები, საბჭოთა ხალხის დიადი მომავლის შესანიშნავი პორიზონტები.

რაც უფრო ახლოდება დიადი იუბილე — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი, მით უფრო ხშირად გაიხსენებთ ხოლმე გონების თვალს განვლილ გზას, სიძნელეებითა და სიხარულით, შრომით, ბრძოლითა და გამარჯვებებით აღსავსე გზას.

რა იყო რევოლუციამდელი აჭარა — საქართველოს ეს განუყოფელი ნაწილი? თურქთა მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ აჭარის მოსახლეობის მძიმე კვალი დაჩნია, დედასამშობლოს მოწყვეტილი აჭარა განიცდიდა უკიდურეს სოციალურ ჩაგრულ, უუფლებობას, უწიგნურობას, ჩამორჩენილობა ბოჭავდა მოსახლეობის სულიერ განვითარებას. 1878 წლიდან მოკიდებული აჭარაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, გაჩენილი მიეცა ეროვნული კულტურის განვითარებას, დიდმა ილიამ, აკაკიმ, ნიკო ნიკოლაძემ, სერგი მესხმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა ბევრი რამ გააკეთეს მოსახლეობის თვითგანათლებისა და სულიერი კულტურის განვითარებისათვის, გაიხსნა სკოლები, აჭარელი ახალგაზრდობა განათლების მისაღებად გაიგზავნა თბილისსა და ჩვენი ქვეყნის კულტურის სხვა ცენტრებში, მაგრამ მოსახლეობა ეკონომიურად მაინც ძმიმე მდგომარეობაში იყო, სოფლად ადგილობრივ ჩამორჩენილობა ბატონობდა, ქალაქის საწარმოები კაპიტალისტების ხელში იყო მოქცეული.

XIX საუკუნის 90-იანი წლების შუახანებიდან პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ზეგავლენით საქართველოში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროლეტარული პერიოდი. ამ პერიოდში და შემდეგ ისტორიული როლი შეასრულა ბათუმმა, როგორც მრავალეროვანი პროლეტარიატის ქალაქმა. აქ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგნენ ი. სტალინი, პ. ლომჯარია, ს. ქავთარაძე, მ. ჯანიანი და სხვები.

ბათუმის ამბები შეუმჩნეველი არ დარჩა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინმა ნ. კრუპსკაიას დაავალა კავშირი დაემყარებინა ბათუმის ორგანიზაციასთან, ამ მიზნით ნ. კრუპსკაიამ პოლონთიდან (ავსტრიიდან) ბათუმში მარიამ სოლოდარიოს ბარათი გამოიგზავნა.

მეწმენეკების ბატონობის, ინგლისისა და თურქეთის ჯარების შემოსევის პერიოდში მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აჭარაში, მაგრამ ბათუმის პარტიული ორგანიზაცია რევოლუციურ ბრძოლას აფეთქეს რამდენიმე ხომალდი, რომლებითაც ვრანგელისათვის მიჰქონდათ სამხედრო საჭურველი, 1920 წლის პირველ მაისს მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია.

1921 წლის 18 მარტიდან, მას შემდეგ, რაც მეთერთმეტე არმიის დახმარებით აჭარიდან განდევნეს მენშევიკები და თურქი დამპყრობლები, აჭარის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ამ დღიდან იწყება აჭარის მშრომელთა ნამდვილი ცხოვრება. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

სოციალისტურმა ხუთწლედებმა მთლიანად შეუცვალა სახე ჩვენი რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საწარმოო ძალებისა და კულტურის განვითარების მხრივ გაცილებით მეტი გაკეთდა, ვიდრე მთელი წინა ისტორიის მანძილზე. აშენდა ნავთობგადამმუშავებელი, გემთსაშენებელი, მანქანათსაშენებელი, ელექტროტექნიკური, ელექტროტექნიკური, ტყავის, ტუნგის ზეთსახდელი, ჩაის, თამბაქოს, სამკერვალო და ალობეთ სხვა ფაბრიკები და ქარხნები. საწარმოები აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, რომელთა ეკონომიკური შესაძლებლობა და პოტენციალი ყოველწლიურად იზრდებოდა.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მძლავრი და მოწინავე საწარმოა, რომელიც თხუთმეტამდე სხვადასხვა დასახელების პროდუქციას უშვებს, პროდუქციის ნახევარზე მეტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის, ხოლო ნავთობის მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტოდ იგზავნება. ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ჩაის ფაბრიკებისათვის საჭირო აღჭურვილობას უშვებს. ელექტრომექანიკური ქარხნის სახელოვანმა კოლექტივმა მიაღწია იმ დონეს, რომ მათი პროდუქციის ნახევარი ხარისხის ნიშნით გამოდის. შორს გაითქვა სახელი ბათუმელი გემმშენებლების ფყადქვეშაფრთიანმა კატარღებმა, ბათუმურმა ბრეზარატებმა, ტახსაცლელმა და სხვა ნაწარმმა. **ახლა აჭარის საწარმოები სამ დღეში მეტ პროდუქციას აწარმოებენ, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში რევოლუციამდელი საწარმოები.** მრავალი ბათუმური პროდუქცია საექსპორტო დანიშნულებისაა და მსოფლიოს ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობს. ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა ბათუმურ კატარღებზე, ელექტროარეებზე. ნაითობსა და სხვა პროდუქციაზე.

არანაკლები წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში, ადრინდელი ეკალბარდი, ჭოობიანი დაბლობები, გაუვალი უნაყოფო ტყეები სუბტროპიკულმა კულტურებმა შეცვალა. საითაც არ გაიხედათ, ყველგან ჩაის პლანტაციები და ციტრუსის ბაღებია გაშენებული. **აჭარის მშრომელები ამაყობენ იმით, რომ მთელი საქართველოს ციტრუსების 60 პროცენტზე მეტი აჭარაში მოდის. საქართველოს მეჩაიეთა წარმატებებშიც დიდია აჭარის მეჩაიეთა წვლილი. წლეულს აჭარის მეჩაიეებმა სამშობლოს მიჰყიდეს 56.500 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, საშუალო საპექტარო მოსავლიანობამ 7.530 კილოგრამს გადააჭარბა.**

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ასეთი აყვავება ლენინური კოოპერაციული გეგმის შედეგია. რევოლუციამდელ აჭარაში 800 ჰექტარი ჩაი და 400 ჰექტარი ციტრუსი იყო გაშენებული. ეს პლანტაციები მეტწილად მემამულეებს და მეფის მოხელეებს ეკუთვნოდათ. დღეს აჭარაში 7.500 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია და 5.500 ჰექტარზე მეტი ციტრუსის ბაღია გაშენებული.

ჩაი, ციტრუსი, თამბაქო, ვენახი, ტუნგი, მეცხოველეობა, მემინდვრეობა ჩვენი მშრომელების ეკონომიკური წინსვლისა და შემლებული ცხოვრების საფუძველი გახდა. გულს ახარებს თანამედროვე სოფლები, მოასფალტებული გზები, ილიჩის ნათურები, ცისფერი ეკრანი, მუზეუმი ავტომანქანები, კეთილმოწყობილი ქვითკირის სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები — ეს თანამედროვე სოფელი, თანამედროვე სოფლის მშრომელთა გარემო.

აჭარის ზღვისპირეთის კურორტები საქვეყნოდ არის ცნობილი. ქობულეთის, ციხისძირის, მწვანე კონცხის, მახინჯაურის დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში ყოველწლიურად ათი-ათასობით მშრომელი ეზიარებს ჯანმრთელობას, ვინ არ მოუხიბლავს აჭარის თვალწარმტაც გარემოსა და ჰავას. მომავალში კურორტების მშენებლობა უფრო გაფართოვდება. მეათე ხუთწლედის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა მრავალი მაღლივი სასტუმრო და დასასვენებელი სახლი.

რევოლუციამ დასაბამი მისცა აჭარაში ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, ბათუმში ამჟამად 50 მწერალი და მხატვარი მუშაობს, რომელთა შემოქმედებითმა ნამუშევრებმა ფართო საზოგადოებრიობის აღიარება მოიპოვა.

მიღწეული წარმატებანი კანონიერი სიხარულისა და სიამაყის გრძნობას ბადებს. მიღწეულზე რომ ფიქრობ, უმალვე მოგაგონდება ვ. ი. ლენინის მითითება, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო წესია მთავარი ყურადღება მიექცეოთ გადაუჭრელ ამოცანებს.

ჩვენ ყველანი იმ დიდი ძვრებისა და ცვლილებების მოწამენი ვართ, ამ ბოლო 5 წელიწადში რომ მოხდა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, პარტიულ და სამეურნეო ცხოვრებაში. რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებაში ჩამორჩენა იმ არაჯანსაღი ვითარების მიზეზი იყო, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე დამკვიდრდა ხელმძღვანელობასა და მართვაში დაშვებული შეცდომების გამო.

საქართველოს კომპარტიის მიერ უკანასკნელ წლებში გაჩაღებული ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის უკომპრომისო ბრძოლის შედეგი გამოვლინდა მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებით.

ბოლო პერიოდში საქართველოში და. კერძოდ, აჭარაში ეკონომიკური განვითარების სისტემატურად აღმავალი ტემპი, სოციალურ სფეროში მომხდარი კეთილნაყოფიერი ცვლილებები განაპირობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებებმა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხებზე. აღნიშნული დადგენილებები გვიდგენენ განვითარებულ ლონისძიებათა კომპლექსი მეათე ხუთწლედის დასახული ამოცანებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სკკპ XXV ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დაუსახა ჩვენს სახელმწიფოს, მთელ ჩვენს ხალხს. ყრილობაზე განსაკუთრებით გაეცა ხაზი ხალხის კეთილდღეობის, მისი მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ყრილობის მიერ დასახული გეგმები ფრთას ისხამს, ეს უკვე დაეტყო ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებამ ორმა კვალი დაჩნია რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარეს, პარტიის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე და წინა პლენუმებზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია, რასაც ცხოველმყოფელი შედეგები მოჰყვა. **სამგზის ორდენოსანი საბჭოთა აჭარის მშრომელებმა თავდადებული და უანგარო შრომით ზედიზედ ოთხჯერ დაიმსახურეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.** მიღწეული ეს იმ დიდი ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგია, რომელსაც აჭარის პარტიული ორგანიზაცია ეწევა პარტიულ-პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ დარგში.

რუსთაველ მეფოლადეთა ინიციატივამ — არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვიერდით, ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის მშრომელთა თაოსნობამ დიდად შეუწყო ხელი სიერთო წარმატებებს. ყოველი სანქმიანი თაოსნობა განსაკუთრებულ მხარდაჭერას პოულობს, რაც საერთო წინსვლის საფუძველი ხდება.

საიუბილეო წელი ახალი შრომითი წარმატებების წელი გახდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის ისტორიულმა პლენუმმა, ახალი კონსტიტუციის მიღებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე აღინიშნა, საჭიროა კიდევ უფრო სრულვყოთ და გავაუმჯობესოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები.

აჭარის მშრომელები ერთსულოვნებითა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აზორკეულებენ პარტიის გეგმებსა და მოწოდებებს და მნიშვნელოვან შრომითს გამარჯვებებს აღწევენ. მათ დიდი საჩუქარი მოუმზადეს ოქტომბრის იუბილეს, გადაჭარბებით შესრულდა 9 თვის გეგმები მრეწველობაში, გეგმის გადამტანებით წარმოებულია 9 მილიონი მანეთის პროდუქცია. საქართველოს მეჩაიეებმა ისე სახელოვნად იშრომეს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მილოცვა დაიმსახურეს. საერთო წარმატებებში აჭარის მეჩაიეთა წვლილიც არის. მეჩაიეთა ესტაფეტა მეციტრუსეებს გადაეცათ. მათ იკალებულეს საიუბილეო წელს მოიწონ 100 ათასი ტონა ციტრუსი.

დიდი ტრადიციების მქონე აჭარის მშრომელები და პარტიული ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შეასრულონ პარტიის წინასწარდასახულებანი, ახალი გამარჯვებებით გაახარონ დედასამშობლო.

ზაზა ბურკაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი

ცხოვრების სინათლე

ლენინელი საქართველოს შრომისა და შემოქმედების დიდებულ მონაპოვარში ღირსეული წვლილი უდევს აჭარას, წინათ ჩაგრულს, დიდხანს დაბეჩავებულს. გათელილს, მაგრამ საბჭოთა ძმურ ოჯახში, თავის ღვიძლ დედა-საქართველოსთან ერთად, დამკვიდრებულ მხარეს.

ჯერ კიდევ დიდი ილიას მიერ დაწყებული კეთილი მამაშვილური საქმე ახალ დროში, რევოლუციური საქართველოს ახალმა შვილებმა გააგრძელეს.

ახლა გულო კაიკაიშვილის ნატვრა, თვალცრემლიანი რომ ოცადებდა მაშინ, დიდი აკაკის წმინდა ნეშტის წინაშე. ახალი დღეებს სამსახურში ჩააყენეს თავიანთი ნიჭი და უნარი, მშიბელ ხალხთან დაბრუნებისათვის ბრძოლის ნთელი იდეების მქადაგებლებმა მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა.

აჭარის სინამდვილის ნოყიერ ნაადგზე აღმოცენდა და გაიშალა პარმენ ლორთკაას სამწერლო საქმიანობა. როგორც პეტრე, აქ დაიბადა ნესტორ მალაზონია, რომელიც მეტროდა: „...აღარ არის ცაზე ბორი და სიცოცხლით ანთებული, მზე ანთება. მზე მხარგაშლილი. მზე ოქტომბრის ანთებული“.

სახელოვანმა გალაკტიონმა, ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში მრავალი ლექსი მიუძღვნა სოციალისტური აჭარის ახალშენებლობებს, მის მეიმე წარსულს, მის საბედნიერო გათენებას, ხოლო მრისხანე ომის დღეებში და გამარჯვების შემდეგ გალაკტიონმა დაწერა მთელი წიგნი, დაუვიწყარი და ძვირფასი — „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“.

აუღელვებლად ვერ წაიკითხავ, მაღალი ლირიკული თავგანწირვით აღბეჭდილ სიმონ ნიკოლაძის ბოლო ციკლს „შემოდგომის დღეები აჭარაში“.

აჭარის წიაღში დაბადებული, აღზრდილი და საბჭოთა სინამდვილეში დავიჯაჯებული ქართველი მწერალი ყოველთვის მშობლიური ხალხის დიდი სიყვარულით და პატივისცემით არის გარემოსილი.

ალა მარტო თბილისში, საკავშირო არენაზეც გაისმა მამია ვარშანიძის. ნანა გვარიშვილის, ჯემალ ჯაჯანის, გიორგი სალუქვაძის, ჯემალ ქათამაძის, შოთა ზოიძის და სხვათა სახელები.

ბათუმელი ალექსანდრე ჩხაიძის პიესებმა საბჭოთა მრავალეროვნულ დრამატურგიაში თავისი სიტყვა თქვეს, ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთის სცენაზეც გავიდა.

სად არ იცნობენ ამირან შერვაშიძის პიესებს და მხატვრულ-დოკუმენტურ მოთხრობებს, ალექსანდრე სამსონიას და შოთა რუსაძეს ნაწარმოებებს.

ლაღი პოეტური შემართებით, პატრიოტული სიამაყით გამორჩეულია ზურაბ გორგილაძის ლექსები. თავისებური და საყურადღებოა მხატვრისა და პოეტის ლადო სეიდიშვილის შემოქმედება, ქსენია მეგელაძის, ემინ დავითაძის ლექსები.

ჩვენი დღეების წინააღმდეგობები, შრომისა და შენების მღელვარე, სიძნელით აღსავსე სინამდვილე აისახა მიზეილ გორგილაძის, გიორგი ლორთქიფანიძის და სხვათა მოთხრობებში.

აჭარაში დაწინაურდა ქართული ხელოვნების ბევრი დარგი. ბათუმის თეატრი, რომლის პირველი ადგილობრივი დასის შექმნაში ფასდაუდებელი ღიაწლი მიუძღვით მარჯანიშვილსა და ახმეტელს, დღეს ერთ-ერთი მოწინავე შემოქმედებითი კოლექტივია. საქართველოს სახალხო არტისტებს იოსუფ კობალაძეს, მურად ხინოკაძეს, ნუნუ თეთრაძეს, აკაკი მგელაძეს ვინ არ იცნობს.

გვეამაყება, რომ ქართულ ქორეოგრაფიას აჭარამ შეუნახა და შესძინა ახლა უკვე მსოფლიოში ცნობილი ორი ანსამბლი „ხორუმი“ და „განდაგანა“.

ქართველ მხატვართა შორის სულ უფრო მკაფიოდ და წარმატებულად ამეტყველდა ფერწერის აჭარის ოსტატთა ქმნილებანი. მრავალტალანტიანი, დღეს ბედნიერი ქართველი მხარის მშრომელთა ცხოვრება და ბრძოლა აისახა შ. ხოლუაშვილის, მ. ბოლქვაძის, ხ. იმნაიშვილის, შ. ზამთარაძის, ვ. იაკოვენკოს და მთელი რიგი ახალგაზრდა ნაჭიერთა ტილოებსა და სკულპტურულ ნაწარმოებებში.

დიდი ოქტომბრის სამოცი წლისთავს აჭარა მთელ დიდა-საქართველოსთან ერთად, აღმავალი და შთაგონებული შემოქმედებითი შრომის ვითარებაში ეგებება.

2. ფოტოალბომი
საბჭოთა აჭარაში

ხუთწლედის ადამიანები

ა. კაჭარავა,
საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი

საანაოსნოს ათი წელი

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ყველაზე ახალგაზრდაა ჩვენს ქვეყანაში. ახლახან მას არსებობის ათი წელი შეუსრულდა. მიუხედავად ამისა, მოწინავეთა რიგებში დგას. ყოველწლიურად სახელმწიფო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. განვლილი ათი წელი ჩვენი მეზღვაურების წრთობის, აღორძინებისა და წინსვლის წლები იყო.

უკანასკნელი წლებისათვის სანაოსნოს ფლოტი 2-4-ჯერ გაიზარდა, შეგვეძატა ტექნიკის უმაღლესი სიტყვით აღჭურვილი ისეთი ტანკერები და მშრალი ტვირთის საზიდავი ხომალდები, როგორიც არის „გიორგი ლეონიძე“, „გენერალი ლესელიძე“, „მხატვარი თოიძე“, „კომანდორი ფედკო“, „სოხუმი“, „ქუთაისი“ და მრავალი სხვა. ახლა საქართველოს სანაოსნოს გემები მსოფლიოს ოკეანეებსა და ზღვებს სერავენ.

ჩვენი ფლოტის კადრების შესანიშნავი სამეგზელოა ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, რომელიც ყოველწლიურად ათობით სპეციალისტს გვიგზავნის. ამაზე მეტყველებენ ახალგაზრდა კაპიტნები, რომლებმაც თავდადებული შრომითა და საქმის ღრმა ცოდნით მიიქციეს ყურადღება. ესენი არიან ზურაბ ბატარაძე, გურამ კონელიძე, ვალერიან გრიბანოვი, შოთა რუსეიშვილი, ოთარ ნახვაძე და ბევრი სხვა.

ამჟამად საქართველოს სანაოსნოს აქვს კარგად მოწყობილი სანავსადგურო მეურნეობა, ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურები, რომლებიც წარმოადგენენ უნიკალურ კომპლექსს, რაც უზრუნველყოფს ტვირთების შეუფერხებელ გადაზიდვას.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოსათვის X ხუთწლედი როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად ზრდის წლები იქნება. ხუთწლედის ბოლოს სანაოსნოს ფლოტში იქნება 54 გემი 787 ათასი ტონა წყალწყვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქათამაძე

აჭარა

შავ ზღვას უხდება ლომის ფაფარი,
კიპაროსს ყელზე იხვევა სურო.
არც სამოთხეა და არც ზღაპარი,
მაინც რა გსურდეს, ინატრე სულო...
მწვანე კონცხია თუ მწვანე გემი,
ზღვა ნელა ღელავს, როგორც ჯეჯილი.
შორს ციხისძირი კიაფობს ჩემი —
ბრძოლებში ალთაბაბამოვლილი.
წყარო კი არა, მოჭუხს მირონი,
ქარი კი არა — ლოცვა თამარის.
ზღვა და ზღაპრული სანაპირონი,
მშრომელთა ხელით ნაამაგარი.

ბ. ჯიქია,
საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი

მეჩაიეთა ესტაფეტა — მეციტრუსეებს

ქობულეთის **მშრომელები** ამაყობენ იმით, რომ მათს ბაღებში საქართველოს ციტრუსების 50 პროცენტზე მეტი მოდის. ციხისძირის, ჩაქვის, ალამბრის, კვირიკეს, ბობოყვათის, ხუცუბნის, მუხაესტატეს, ლეღვანა და სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრადიციად დაამკვიდრეს უხვი მოსავლის მოყვანა. ჩაქვსა და ციხისძირში საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 15-20 ტონაა.

ასეთი წარმატებები თავისით არ მოსულა. მშრომელებმა შეიყვარეს ეს ძვირფასი კულტურა, დაოსტატდნენ მის მოვლა-მოყვანაში. ციტრუსი გახდა მათი შეძლებული ცხოვრების წყარო. ამიტომაც მთავრობის მითითების შესაბამისად ხორციელდება ყოველგვარი აგროტექნიკური ღონისძიებები მოსავლიანობის გადიდებისა და ახალი ფართობების ათვისებისათვის.

აჭარის ულამაზესი კუთხე ქობულეთი მხოლოდ მეციტრუსეობის რაიონი არ არის. წლეულს ქობულეთელმა მეჩაიეებმა სამშობლოს მიჰყიდეს 38.185 ტონა ჩაის ფოთოლი, საშუალო საპექტარო მოსავლიანობამ 8 ათას კილოგრამს გადაჭარბა.

ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომელიც ლენინური იდეების ხორცშესხმის უთვალსაჩინოესი დადასტურებაა, ქობულეთის მშრომელთა დიდი პატრიოტული ალმავლობა მოჰყვა. ეს-ეს არის ზეიმით აღვნიშნეთ ჩაის გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება, ახლა კი ჯერი ციტრუსებზე მიდგა. რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს საიუბილეო შრომითს ვახტზე მეციტრუსეობაშიც გამოიჩინონ თავი და სამშობლოს მიჰყიდონ 60 ათასი ტონა ციტრუსი, რაც 19 ათასი ტონით მეტია გეგმაზე. ამ პატრიოტულ თაოსნობას ერთსულოვნად გამოეხმაურა მოსახლეობა და თავის მხრივ ივალდებულა საკარმიდამო ნაკვეთში მოყვანილი მთელი მოსავალი სახელმწიფოს მიჰყიდოს.

მეჩაიეთა ესტაფეტა მეციტრუსეებს გადაეცათ. ქობულეთელ მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებებით დაამთავრონ საიუბილეო წელი.



ციტრუსის მოსავლის ზრდა აჭარაში.

ოქტომბრის ალმანახი

ქობულეთის რაიონის მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ქეთევან გოგიტიძემ თავდადებული შრომით მოიპოვა საქვეყნო აღიარება. იგი სანერგე მონაწილეობდა სრულიად საკავშირო ალაკ ყრილობის მუშაობაში, არის საქართველოს ჩშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრი, მრავალი საკავშირო კონგრესისა და ფორუმის მონაწილე.

სურათზე: ზემოთ — ქ. გოგიტიძე

ბათუმის მანქანათსაშენებელ ქარხანაში ათობით ახალგაზრდაა, რომლებმაც უანგარო და ენერგიული შრომით საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. ერთ-ერთი მათგანია კომუნისტი მურნან აბულაძე. იგი ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: ქვემოთ — მ. აბულაძე.

ე. ბაბაიანისა და ა. ანასტასიევის ფოტო.

ონიოს ჩაის ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავეა ხელვაჩაურის რაიონში. ფაბრიკის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნება პოლონეთსა და ბულგარეთში. სურათზე: მარჯვნივ — ფაბრიკის მოწინავე ლაბორანტი ლ. ბერიძე.

ეორს გაითქვა სახელი სეინერმა, რომლის ბრიგადირ-კაპიტანია გივი უკლება. მოწინავე ბრიგადა გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს და უკვე 1978 წლის ანგარიშში იჭერს თევზს.

სურათზე: სეინერის ბრიგადირ-კაპიტანი გ. უკლება.

ა. ანასტასიევის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის მონაპოვარი

ციფრები და ფაქტები

☐ **რევოლუციამდელ** აჭარაში რამდენიმე კულტურული საწარმო იყო. ამჟამად 62 მსხვილი სამრეწველო საწარმოა. 1921 წელთან შედარებით ახლა 113-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია გამოდის.

☐ **აჭარაში** 1921 წელს ჩაის კულტურას 800 ჰექტარი ფართობი ეჭირა, ამჟამად 7.500 ჰექტარი უკავია. 1923 წელს ციტრუსები 400 ჰექტარზე იყო გაშენებული, ამჟამად კი 5.500 ჰექტარი უჭირავს.

☐ **1940 წელს** აჭარამ სახელმწიფოს მიჰყიდა 17.500 ტონა ციტრუსი და 10.500 ტონა ჩაი. 1976 წელს 71.900 ტონა ციტრუსი და 51.000 ტონა ჩაი.

☐ 1960 წელში აჭარაში გაზიფიცირებული იყო 2.700 ბინა, ხოლო 1977 წლისთვის — 58.800.

☐ **ჩქარი** ტემპით ვითარდება საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამჟამად მარტო რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით აჭარაში 796 ობიექტია.

☐ **რევოლუციამდელ** აჭარაში სულ 62 სკოლა იყო, მათგან 58 დაწყებითი, რომლებშიც 5.500 ბავშვი სწავლობდა. მათ აღზრდას ემსახურებოდა 140 მასწავლებელი. ამჟამად აჭარაში 426 სკოლაა, 75.500 მოსწავლეს აღზრდას 5.500 მასწავლებელი ემსახურება.

☐ **1913 წელს** აჭარაში 8 ექიმი იყო, 1975 წლისთვის — 1.031. — შესაბამისად გაიზარდა საავადმყოფოების საწოლთა რაოდენობაც. თუ 1913 წელს იყო 1 ასსაწოლიანი საავადმყოფო, 1940 წელს 12 877-საწოლიანი დაწესებულება, ხოლო 1975 წლისთვის — უკვე 4 3,250-საწოლიანი დაწესებულება.

აჭარის ასსრ დღიური თბილისში

ოქტომბრის მზის ქვეშ

ოქრო აჭარის ლაჟვარდში

60 გზა, საუკუნეებისა ჭარელი
ბიბლიოთეკა

ხალხის სიმდიდრე

ნ. ცეცხლაძე,
საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პირველი მდივანი.

მთა თავისი ჭირვეული ბუნებით გლეხაცისაგან შეუპოვარ გარჯას მოითხოვს, ამას ემატება მთის რელიეფის სირთულეც, ჩვენთან ძნელად თუ ნახავთ თუნდაც ერთ ჰექტარ გაშლილ ვაკეს. ბაღები, ყანები და თამბაქოს პლანტაციები მთის კალთებზეა გაშენებული.

ჩვენი კოლმეურნეობების ეკონომიკაში მთავარი ადგილი თამბაქოს უჭირავს. იგი მთელი შემოსავლის 75 პროცენტს შეადგენს, ამიტომაც არის, რომ მშრომელები მთელი მონდომებით უვლიან მას და სარეკორდო მოსავალსაც იწევენ. საშუალოდ თითოეული კოლმეურნისათვის სეზონში იგეგმება 250 კილოგრამი ხმელი თამბაქოს მოყვანა, მაგრამ არიან კოლმეურნეები, რომლებიც გეგმას ოთხმაგად ასრულებენ. რ. მაკარაძე, ნ. ცინარიძე, ქ. ბერიძე, უ. კეკენაძე, ნ. დარჩიძე და ასობით სხვა კოლმეურნე ტონაზე მეტ ხმელ თამბაქოს აბარებს დამამზადებელ პუნქტებს. თამბაქო გახდა გლეხაცის სიმდიდრის წყარო, ახლა ცოტა როდია ისეთი მეთამბაქოე, რომელიც 3.000 მანეთზე მეტ ანაზღაურებას იღებს.

შუახევის რაიონი აჭარაში მეთამბაქოების ერთ-ერთი წამყვანი რაიონია. მარტო მეცხრე ხუთწლედში სახელმწიფოს მიეყიდა 4.964 ტონა ხარისხოვანი თამბაქო. დაგეგმილზე 1333 ტონით მეტი. შარშან ჩვენმა მეთამბაქოეებმა 1100 ტონა ხმელი თამბაქო აწარმოეს, წლეულს ვალდებულება ვიკისრეთ დაწარმოოთ 1.200 ტონა. ჩვენმა მშრომელებმა ამ ძვირფასი კულტურის მოყვანის კარგი ტრადიცია დაამკვიდრეს. უხვი მოსავლის მიღებისათვის რამდენჯერმე დავიმსახურეთ რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშა. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ზამლეთის, ოლადაურის, სამოლეთის, შუახევის, ჭვანის კოლმეურნეობები.

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია თამბაქოს წარმოება გაიზარდოს 5.660 ტონამდე, რაც მეცხრე ხუთწლედის გეგმასთან შედარებით 2.230 ტონით მეტია. წლეულს თამბაქოს აქვს გეგმა უკვე შეასრულეთ.

ამ ბოლო რამდენიმე ათწლეულში საოცრად იცვალეს სახე მთის სოფლებმა, ლამაზი კლუბ-კანტორები, სკოლები, საავადმყოფოები, ქვითკირის ოდა-სახლები, ახალი ავეჯი, საკუთარი ავტომანქანები — აი თანამედროვე მთის სოფლის სურათი. ხალხის ეკონომიკური დონის ამაღლებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა თამბაქომ, და ამიტომ არის, რომ მშრომელები ძალღონის დაუზოგავად ზრდიან მის მოსავლიანობას.

სახელმწიფო—ეს ჩვენა ვართ

ბ. მახარაძე,
ქედის რაიონის წონარისის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის მუშაობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ეს იყო დაუვიწყარი, წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსე დღეები. ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული სიტყვა, დეპუტატთა გამოსვლები შეეხებოდა იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებიც განვლილ წლებში ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ხალხმა მოიპოვა. ახალი კონსტიტუცია ნამდვილი მანიფესტია მოქალაქეობრივი უფლებების შესახებ, რომელიც მხურვალედ მოიწონა მთელმა ხალხმა

ძველის მომსწრე არა ვარ, ბაბუაჩემისაგან გამიგონია ადრინდელ სიღუჭირეზე, გაუნათლებლობაზე. ჩაღრში გაზეთული აჭარელი ქალი ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული, მას ოჯახშიც კი ზღუდავდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ სინათლე და სიმდიდრე მოეტანა მთას, შრომა და მშრომელი დაფასდა. წინათ რას წარმოიდგენდნენ, რომ დადგებოდა დრო, მეთამბაქოე ქალი პარლამენტის წევრი გახდებოდა და ქვეყნის მართვაში მიიღებდა მონაწილეობას. როგორ არ უნდა მიყვარდეს შრომა, რომელმაც საქმეყნოდ გამოიქვა სახელი. 1975 წელს გეგმით გათვალისწინებული 350 კილოგრამის ნაცვლად 1170 კილოგრამი ხმელი თამბაქო მოვიწიე, 1976 წელს — 1330 კილოგრამი, წლეულს ტონა-ნახევარს ჩავაბარებ დამამზადებელ პუნქტს.

საუგარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ქართველი და ბულგარელი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ნათელ დღესასწაულად იქცა ბლაგოევგრადის ოლქის დღეები აჭარის ასს რესპუბლიკაში, რომლებიც 13-15 ოქტომბერს შიმდინარეობდა. ბულგარელი სტუმრები გაეცნენ აჭარის შრომელთა ცხოვრებასა და ყოფას, ავტონომიური რესპუბლიკის მიღწევებს.

17 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა მიიღო აჭარაში ბლაგოევგრადის დელეგაციის მონაწილე ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელები — პარტიის ბლაგოევგრადის საოკრუგო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. სანდევი, ბლაგოევგრადის ოკრუგის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ლ. პრიჩკაროვი და ოკრუგის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს უფროსი ბ. არაბაჯიევი.

ამხ. პატიაშვილი გულთბილად მიესალმა სტუმრებს, აღნიშნა აჭარაში გამართული ბლაგოევგრადის ოკრუგის დღეების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც ხელს უწყობენ ქართველი და ბულგარელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას. მან ილაპარაკა იმ ძირეული გარდაქმნების შესახებ, რესპუბლიკაში რომ მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ეკონომიკისა და კულტურის დარგში. თქვა, თუ როგორ აზოგიერებენ რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXV ყრილობა გრანდიოზულ წინასწარდასაწყებლებს, რა შრომითი წარმატებებით ეგებებიან ისინი მოახლოებულ სახელოვან იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტიკური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

ამხ. სანდევმა ძალღონა გადაიხადა აჭარაში ბულგარეთის დელეგაციის გულთბილი და მეგობრული მიღებისათვის. ბლაგოევგრადის ოკრუგის დღეების საუცხო ორგანიზაციისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელებთან საინტერესო შეხვედრებისათვის.

ამხ. სანდევმა თქვა, რომ ბულგარეთის მშრომელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სსრ კავშირის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარელი ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით ემზადება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე გ. გ. ოყროშიძე. (საქინფორმი).

მთა ყველას საგზრუნავია

ნ. თამაზაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პირველი მდივანი.

გზების მიყვანის, სასოქმების შეტანისა და მორწყვის შედეგად შესაძლებელი გახდა თვის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 35-40 ცენტნერამდე გაგვეზარდა. მოლოდინი გაამართლა რაიცხოველმრეწვის ბაზაზე შექმნილმა სანაშენე მეურნეობამ.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილების შესაბამისად მთის მოსახლეობის უკით დასაქმებისა და მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია გაიზარდოს ხე-ტყის საწრეწველო დამუშავება, გაფართოვდეს ქვის კარიერები, მოეწყოს მცირე ფორმის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოება. უნდა გავზარდოთ ხეხილის პლანტაციები, გავაშენოთ ეკალის ნარგავები, ხოლო შემდგომში ვიფიქროთ ხილის წვენების დამამზადებელი საკოლმეურნეოთაშორისო ქარხნის მშენებლობაზე. მთის ცხოვრებაში თავისი სიტყვა უნდა თქვას მრეწველობამაც.

მთის რაიონებში ჯერჯერობით გადაუჭრელია კადრების საკითხი. გვჭირდება მეტი ექიმები, პედაგოგები, აგრონომები, ვეტერინარები. ამ პრობლემის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს უმაღლეს სასწავლებლებში მთის რაიონების მკიდრი ახალგაზრდობისათვის ადგილების გამოყოფა.

როგორც ვხედავთ, პრობლემები და გადასაწყვეტი საკითხები ბევრია. მიზანი ერთია ყველას — ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე.

ბარიკადებიდან იუბილემდე

ვ. ჭანიშვილი,
სკკპ წევრი 1918 წლიდან.

ბათუმი თავისი რევოლუციური წარსულით ისტორიული ქალაქია. 1900-იანი წლებიდან მოკიდებული, აქაურები საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე არ წყდებოდა რევოლუციური ბრძოლები, ბათუმის ქუჩებში ხშირად აღუმატებოდა ბარიკადები, რომლებზეც თავისუფლებისათვის ბრძოლაში მშრომელთა სისხლი იღვრებოდა.

ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის გარიჟრაჟზე ი. ბ. სტალინის მიერ შექმნილმა ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ ბათუმის კომიტეტმა დიდი როლი შეასრულა ბათუმის პროლეტარიატის დარაზმვისა და იდეური შეიარაღების საქმეში. 1905 წლის რევოლუციის დროს ბათუმის პროლეტარიატი იარაღით მედგრად იბრძოდა და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევდა. ამიტომაც იყო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ვ. ი. ლენინი მოითხოვდნენ „ჯანყებული „პოტიომკინი“ წასულიყო ბათუმში და ბათუმის მებრძოლ პროლეტარიატს შეერთებოდა.

რევოლუციის დროებითმა მარცხმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აჭარის ბოლშევიკურ ორგანიზაციას, უანდარმერიამ რვაჯერ დაარბია რსდმპ ბათუმის კომიტეტი, ციმბირში გადაასახლა მრავალი ბოლშევიკი. მაგრამ არალეგალური მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა.

თებერვლის რევოლუციამ ხალხს იმედები ვერ გაუმართლა. 1917 წლის შემდეგ ბათუმსა და მთელ აჭარაში ძმიმე მდგომარეობა შეიქმნა. მენშევიკების ხელისუფლების დროს აჭარაში ხან თურქები ბატონობდნენ, ხან ინგლისელები. **ნამდვილი თავისუფლება აჭარის მშრომელებმა 1921 წლის 18 მარტიდან მოიპოვეს, როცა ბოლო მოეღო მენშევიკთა და უცხოელ დამპყრობთა ბატონობას.**

ამის შემდეგ აჭარამ და მისმა დედაქალაქმა ბათუმმა ზღაპრულად იწყო აღორძინება. აშენდა ათობით ფაბრიკა-ქარხანა. აღმაფლობის გზას დაადგა სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა არნახულ წარმატებებს მიაღწია. აყვავებული სოფლები, რაიონული ცენტრები და ქალაქები—ასეთია დღევანდელი აჭარა.

ქალი—აქტიური მშენებელი

ქ. სიდამონიძე.

ასიმილატორთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში ბენებით ლაღი აჭარელი ქალი, მტერთან მამაცი მებრძოლი, შინ სახელოვანი დედა, ჩაღრში გაეხვია. ათასი ტანჯვა-ვაების მიუხედავად მათ წმინდად შემოინახეს დედაენა და ქართული ტრადიციები.

დღეს აჭარაში 3.300 მასწავლებელი ქალია, ხოთასზე მეტი ექიმი ქალი ემსახურება ადამიანთა ჯანმრთელობას, საბჭოებში არჩეულია 1.400-მდე ქალი, ბევრი მათგანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოების დეპუტატია, მუშაობენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. რ. სარიშვილი პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანია, ლ. ბოლქვაძე — აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი, ფ. კობალაძე საქართველოს სახალხო არტისტია.

ქალთა მოუღლელი ხელით იკრიფება ათიათასობით ტონა ჩაი, ციტრუსი, დიდი წვლილი შეაქვთ მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. დაფასდა მათი შრომა, ა. ჯიჯავაძემ; ნ. ჩელებაძემ, ე. ზაქარიაძემ, ქ. გოგიტიძემ და ათობით სხვამ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა.

დიად იუბილეს მიეძღვნა

დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს აჭარის საოლქო გაზეთებმა „საბჭოთა აჭარამ“ და „სოვეტსკაია ადჟარიამ“ მიუძღვნეს 8-გვერდიანი, ფერადი ილუსტრაციებით გაფორმებული სპეციალური ნომრები, რომლებშიც ასახულია თუ როგორ იზარდა განსაცდელებულმა აჭარამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

გაზეთი „საბჭოთა აჭარის“ საიუბილეო ნომერი იხსნება საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პაპუნიძის წერილით „ოქტომბრის დროშით“. მოტანრახულია აჭარის ნშრომელებს მიესალმებიან აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირის, ბელჩაი ე. ზაქარიაძის, ჭანკვერი „მაქაცარიას“ კაპიტნის ზ. ხავლმეშვილისა და სხვათა წერილებს. რომლებშიც ასახულია, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს აჭარაში მცხოვრები ორმოცი ეროვნების წარმომადგენლებმა დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილი 60 წლის განმავლობაში.



ᲛᲝᲛᲒᲠᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ

Ნ. ᲪᲔᲪᲮᲚᲐᲫᲔ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

ᲛᲗᲐ ᲗᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲚᲔᲮᲐᲪᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲣᲞᲐᲛᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲯᲘᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲐᲛᲐᲡ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲗᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲔᲤᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲔᲑᲘ. ᲛᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲬᲚᲔᲚ ᲕᲐᲙᲔᲡ. ᲑᲐᲦᲔᲑᲘ, ᲧᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲙᲚᲗᲝᲑᲔᲖᲔᲐ ᲒᲐᲛᲬᲔᲜᲑᲣᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ. ᲘᲒᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲚᲔᲚᲡ 75 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲑᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲪ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲚᲔᲑᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲘᲗ ᲣᲕᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲔᲙᲐᲠᲓᲝ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡᲐᲪ ᲘᲬᲘᲕᲔᲜ. ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ 250 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲮᲛᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ ᲜᲝᲗᲮᲛᲐᲒᲐᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ. Რ. ᲛᲐᲙᲐᲠᲐᲫᲔ, Ნ. ᲪᲘᲜᲐᲠᲘᲫᲔ, Უ. ᲙᲔᲙᲔᲜᲐᲫᲔ, Ნ. ᲓᲐᲠᲩᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘ ᲢᲝᲜᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲛᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲡ. ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲐᲪᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲐᲜ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲘᲡ ᲤᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲗᲮᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲠᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲡ

ფოტოაპარატი ბლვისპირეთიდან —გეოდეზიის ულლეკტესილოებდე



ფეიზვიდრა მსაზიოგთან

ჩემი წინაპარი ჩადრში იყო გახვეული. მე, აჭარელი ქალი, საბჭოთა ხელისუფლებამ გამზარდა და მას უნდა ვუმადლოდე, რომ საქართველოს სხრ სახალხო არტისტი გავხდი, — თქვა ახლახან ბათუმის ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტმა ფატმა კობალაძემ. ფატმა პირველი აჭარელი ქალია, რომელსაც ასეთი საპატიო წოდება მიენიჭა. თავისი საქმის საუცხოო ოსტატს განსაკუთრებულ პატივს ამიტომაც სცემენ, რომ თავისი შემოქმედებით იგი ებრძოდა აჭარაში გამეფებულ ძველ ტრადიციებს, კარჩაკეტილობასა და ქალისადმი ბატონყაცურ დამოკიდებულებას, და ფატმას გზას ათასობით ახალგაზრდა მიჰყვა.

ფატმა ოცდაათი წელია დაუღალავად ემსახურება ქორეოგრაფიულ ხელოვნებას. მისი გამოსვლები ხიბლავდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ბულგარეთის, არაბეთისა და სხვა ქვეყნების მაყურებელს.

ფატმას ნიჭის თაყვანისმცემელმა ბათუმის ინტელიგენციამ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყო მას. სალამო გახსნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ხ. ახვლედიანმა. ცნობილ მოცეკვავეს მიესალმნენ აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე, საქართველოს დამსახურებული არტისტი ა. ჯიჯეიშვილი, აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ნ. საგინაძე, პოეტი ფ. ხალვაში და სხვები. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

სურათზე: ფ. კობალაძე.

რ. ტუშაძის ფოტო.

ბლვისპირეთიდან —გეოდეზიის ულლეკტესილოებდე

აპარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ხუთ ათეულ წელზე მეტია, რაც თავისი ხელოვნებით ატკბობს მაყურებელს. ანსამბლი საგასტროლოდ არაერთხელ იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, ბულგარეთში, ნილოსისპირა ქვეყნებში, სადაც აყიდრდა უკვდავი ქართული მელოდიები.

ბათუმის საზღვაო ვაგზალი ქალაქის საზღვაო ჭიშკარია, სადაც ყოველდღიურად ღუზას უშებენენ ჩვენი და საზღვარგარეთის ხომალდები. ამჟამად ფართოდდება ნავმისადგომი, იგი ერთდროულად ხამ გემს დაიტევს.

თვალწარმტაცია მარადმწვანე აჭარის მთები და ველები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსის ბაღები, ვის არ უნახავს ცადაწვდილი მაგნოლიებისა და ფიჭვების ხეივნებში ჩაძირული შესანიშნავი შენობები. ხამრეწველო, საკურორტო, საყოფაცხოვრებო ნაგებობები ამშვენებენ აჭაურ მიდამოს.

დიდი მეცნიერული და კვლევითი მუშაობა წარმოებს ბათუმის დელფინარიუმში. გაწვრთნილი დელფინები მაყურებელს ხიბლავენ მრავალფეროვანი ატრაქციონით.

• • •

სურათებზე: აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. დელფინარიუმში. ბათუმის საზღვაო ვაგზალი. ჩაქვის გზა.

3. ბაბაიანის, ა. ჩანტლაძისა და საკინფორმის ფოტოები.

ჭადრაკი

სპასკი—ტიმანი

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბ. სპასკიმ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩისათვის ემზადება, გადაწყვიტა 6-პარტიანი საკონტროლო მატჩი ითამაშოს. მისი „სპარინგ-პარტნიორი" იქნება ახალგაზრდა ჰოლანდიელი დიდოსტატი ი. ტიმანი.

ი. ტიმანი, რომელიც ვ. გოგლიძის მეორე მემორიალში მონაწილეობდა, უკანასკნელ ხანს მეტად დაწინაურდა, წლეულს მეორე იყო ბადალაუტერბერგში (კარპოვის შემდეგ), მესამე—ლასპალმასში (კარპოვისა და ლარსენის შემდეგ).

კრეტენდენტთა მატჩი

დასავლეთ ბერლინში გაიმართა ფატალიბეკოვასა და კუშნირის ნახევარფინალური მატჩის მეცხრე პარტია. ოცდამეთექვსმეტე სვლაზე გაიმარჯვა კუშნირმა. ანგარიში გახდა 5,5:3,5 კუშნირის სასარგებლოდ.

რეგბი

დიდი ანგარიშით

კვირას „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საქართველოსა და სომხეთის პროფკავშირული ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრა რეგბიში. ანგარიშით 62:3 გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ერევანში. წარმატების შემთხვევაში ქართველი რეგბისტები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შეხვედრებში, რომელიც ქალაქ ფეოდოსიაში, ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის სადღესასწაულო დღეებში გაიმართება.

სსრ კავშირის თასზე

ლენინგრადში გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრა რეგბიში სსრ კავშირის თასზე ადგილობრივ „პრომორეცსა" და თბილისის „ელვას" შორის. ანგარიშით 16:12 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც გაიმართა მოსკოვში „ფილისა" და „სლავას" შორის, გაიმარჯვეს „ფილის" რეგბისტებმა ანგარიშით 7:3.

ფინალში, რომელიც 23 ოქტომბერს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადის „პრომორეცი" და მოსკოვის „ფილი".

წყალბურთი

ჩემპიონები ფეათედ

ბაკოში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის დასკვნითი ტური. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა შეინარჩუნა ერთქულიანი უპირატესობა მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებთან — ბოლო დღეს დაამარცხა ტაშკენტის „მეხნატი" — 9:4 და მეათედ მოიპოვა ჩემპიონის წოდება. სტუდენტებმა მოუგეს ალმა-ათის „დინამოს" — 11:8 და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ფინიშზე ფრედ — 6:6 ითამაშეს „ბრინჯაოს" პრიზორმა კიევის „დინამომ" და ბაქოელმა მეზღვაურებმა,

მძლეოსნობა

სანეევის პრიზზე

კვირას სოხუმის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ტურნირი სამმაგ ხტომაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სანეევის პრიზზე. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ათი ქალაქის 26 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. კრასნოდარელი სპორტის ოსტატი ს. ჩაპლიგინი 16 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე გადახტა და მთავარი პრიზი მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ტარტუელმა სპორტის ოსტატმა ი. ურმიციმ. რომელიც გამარჯვებულს 8 სანტიმეტრით ჩამორჩა. მესამე ადგილზეა ლენინგრადელი ს. მიხნევი.

შეჯიბრების გამარჯვებული და პრიზორები დაჯილდოვდნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის დიპლომებითა და ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაწესებული ფასიანი პრიზებით. ჯილდოებს ვიქტორ სანეევი გადასცემდა.

ჭინვარჯიში

ირინე დერიუგინა—მსოფლიოს ჩემპიონი

შვეიცარიის ქალაქ ბაზელში ხაბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფი დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველად ავიდა ერთ წლის კიეველი ირინე დერიუგინა. სპორტული დავა მას ფაქტიურად მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან 24 წლის ომსკელ გალიმა შუგუროვასთან ჰქონდა. დერიუგინამ მეტოქეს 0,05 ქულით აჯობა, საერთოდ კი 38,65 ქულა დაგროვა.

მესამე საპრიზო ადგილი დამახსოვრა ბულგარელმა ქრისტინე გიურიოვამ (38,25). უძლიერეს ხუთეულშია ოგრეთვე მესამე საბჭოთა სპორტსმენი—სტავროპოლელი ნატალია კრაშენინიკოვა — 37,8 ქულა.

ფეხბურთი

გუშინ მოსკოვში

გუშინ მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი „ლოკომოტივსა" და ცსკა-ს შორის, მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

გასამაშეშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 18 ოქტომბრისათვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო"	პ.	26	11	14	1	43-12	36
„დინამო"	თბ.	26	11	12	3	38-23	34
„დინამო"	მ.	26	8	14	4	32-20	30
„ლოკომოტ."		25	9	12	4	26-21	30
„ტორპედო"		25	10	10	5	22-17	30
„შახტიორი"		26	8	13	5	25-19	29
„კიევრატი"		26	6	14	6	25-26	26
„ჩერნომორ."		26	9	8	9	27-34	26
„ზენიტი"		26	7	11	8	28-28	25
„არარატი"		26	6	12	8	25-29	24
„ნეფტჩი"		26	5	14	7	23-30	24
ცსკა		26	5	14	7	25-35	24
„დნეპრი"		26	8	7	11	21-27	23
„ზარია"		26	6	10	10	24-23	22
„ჰარბატი"		26	5	11	10	23-28	21
„პრ. სოვეტ."		26	2	6	18	14-49	10

იუნიორთა გამარჯვება

დასავლეთ გერმანიის ქალაქ კასელში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში საბჭოთა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუნიორთა (18 წლამდე) ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ორი ლიდერი

ტაშკენტის „პახტაკორისა" და მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა პირველი ლიგის ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე მოაგრძელეს შესაბამისად 48 და 47 ქულა (ტაშკენტელებმა 35 მატჩი ითამაშეს, ხოლო მოსკოველებმა 34). მორიგ ტურში „პახტაკორმა" კიშინოვში ადგილობრივ „ნისტრუსთან" შეხვედრა დაამთავრა ფრედ — 2:2, სპარტაკელებმა კი მოსკოვში მოუგეს მინსკის „დინამოს" ანგარიშით 3:0.

ქუთაისის „ტორპედო" ზაპოროჟიეში შეხვდა ადგილობრივ „მეტალურგს" და დამარცხდა 0:1. **ქუთაისელებს 35 თამაშიდან 33 ქულა აქვთ და გათამაშების ცხრილში მეათე ადგილზე იმყოფებიან.**

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „პამირი" — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — 1:1; „ლოკომოტივი" — „კრივბასი" — 3:0, „ტავრია" — „ზვეზდა" — 3:0; სკა — „რუბინი" — 5:2; „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კუზბასი" — 0:0; „ტერეკი" — „ფარალმაში" — 3:1; „დინამო" (ლენინგრადი) — „შინიკი" — 1:2.

მეორე ლიგაში

გაიმართა მეორე ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. სოხუმის „დინამომ" დაამარცხა კიროვაბადის „პროგრესი" — 2:0, სამტრედიის „ლოკომოტივმა" — თბილისის „სპარტაკი" — 3:0, ლენინაკანის „შირაქი" — 4:0, გორის „დილამ" სტუმრად მოუგო ნაბერეჟნეე ჩელნის „ტურბინას" — 2:1, ზუგდიდის „დინამომ" წაიგო უფაში „გასტელოსთან"—0:1, ხოლო მამმა ბათუმელმა თანაკლუბელებმა — ტოლიატში „ტორპედოსთან" — 1:2.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ციურიხიდან, სადაც ბინა უდევს ევროპის ფეხბურთის ფედერაციას (უეფა), იტყობინებიან, რომ თურქეთის გუნდს „ტრაბზონსპორს" სამი წლით აეკრძალა კონტინენტის თასების გათამაშებებში მონაწილეობა. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმ უმსგავსო საქციელის გამო, რომელიც კოპენჰაგენში მოხდა 28 სექტემბერს ევროპის ჩემპიონთა თასზე „ტრაბზონსპორისა" და დანიის „1903 კოპენჰაგენის" გუნდების შეხვედრის დროს (ამ ინციდენტის შესახებ უკვე ვიუწყებოდით). დასჯილია მასპინძელი გუნდიც, იმის გამო, რომ მან „ვერ უზრუნველყო წესრიგი" სტადიონზე — იგი დაჯარიმდა ხუთი ათასი შვეიცარიული ფრანკით.

მკაცრი სანქციები განხორციელდა აგრეთვე ირლანდიის კლუბის „ბოჰემიანსის" წინააღმდეგაც, რომელიც ევროპის რანგით სამ შემდგომ მატჩს ვერ ითამაშებს ირლანდიის სტადიონებზე. ირლანდიელები დაისაჯნენ იმის გამო, რომ ისინი თავს დაესხნენ მეტოქის (ინგლისის გუნდის „ნიუკასლის") მეკარეს, ხოლო ბოჰემიანსის"-ელმაგები — ინგლისის კლუბის გულშემატკივრებს და გვერდით მსაჯს, რამაც თამაშის „ვადამდე" შეწყვეტა გამოიწვია.

ამბრისს შეერთებულ შტატებში ტურნეს მართავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები. როგორც აპ-ის საგაგეტო იუწყება, მასპინძელთა გუნდთან პირველი შეხვედრა მან ფრედ — 1:1 დამთავრა. მეორე მატჩში ჩინელებს მასპინძლობდა ჩრდილოეთ ამერიკის ფეხბურთის ლიგის ჩემპიონი ნიუიორკის „კოსმოსი". ბრაზილიელი „ვარსკვლავის" არყოფნამ და აგრეთვე იმან, რომ სამშობლოში დაბრუნდა „კოსმოსის" მეორე თავდამსხმელი ინგლისელი სტივ ჰანტი, მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ პროფესიული გუნდის შემტევი ძალა. თამაში კვლავ ფრედ — 1:1 (0:0) დამთავრდა. სტუმრების კარში ბურთი გაიტანა კანალიამ. მატჩს 33712 მაყურებელი ეხვრეოდა — გაცილებით მეტი, ვიდრე ჩინელთა პირველ გამოსვლას ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ (რვა ათასზე ცოტა მეტი).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ტელევიზია

18 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.00 — „ლელა" ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დიდი ანარეკლი (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „გაქცევა" I ნაწილი (ქართულ ენაზე), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოზუცი და ტა" (ფერადი), 18.00 — „ევროსწავლოთ იხგლისური ენა, 18.30 — განცხადებები, 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვერცხლის ფირნა" (ფერადი), 18.45 — სპორტული მიმოხილვა, 19.10 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის „საბჭოთა აჭარა", 20.05 — ჩვენი უფლებები, ჩვენი მოვალეობანი (ფერადი), 20.20— ბათუმის საქალაქო კულტურის სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის კონცერტი (ფერადი), 20.50 — კინონოკვეი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო პანორამა (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ზღვის შვილები".

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის— თეორიული მეცნიერება, 18.45 — განცხადებები, 18.50 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი". I სერია (ფერადი), 19.55 — კონცერტი, 20.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ადამიანი და ბუნება" და „ყურადღება, ბუნება".

ოდიო

19 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ჩვენი მთა-ბარის პანგები, 08.00 — „გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.30 — საოპერო მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ტ. ბაქრაძე, ლ. ბაგერაშვილი — კამერული ნაწარმოებები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.45 — პარტიული ცხოვრება საუბარი „მრომელთა წერილები — პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში", 13.15 — ამიხდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — აჭარის თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, 14.00 — ლიტერატურული კითხვა ლ. ქიაჩელი — „ვეადი ბიგვა" (ჯაგრძელება), 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის „ლაპარაკობს რადიო-სადგური „ციცინათელა", 18.10 — ეკრანის მეოდიები, 18.45 — მ. ფარცხალაძე, თემა ვარიაციებით სიმფონიური კვარტეტისათვის, 19.00 — „აჭარის ასსრ — დიდ იუბილეს", რადიოკომპოზიცია. გადაცემა მოამზადა აჭარის რადიომ, 20.30 — რადიოფურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი" ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — ძილისპირეული, 21.15 — ახალგაზრდობისათვის — რეპორტაჟი „მეშვიდე ცისფერი ცვლა", 21.30 — „როს ეუცქერით განაბულ ბულს"... კონცერტი გადაცემა მოამზადა აჭარის რადიომ, 22.00 — ა. ბელიაშვილი. „მეზღვაურები" რადიოდადგმა, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

თეატრი

18 ოქტომბერი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვიდეილები; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეზობელი აარისა; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — მოსაწყენი დღეების ქრონიკა.

ამანათვაჭრობის
პოდოლსკის ბაზა

ეუწყება, რომ შემკვეთებს უგზავნის მოტოციკლ „ანიონია-250"-ისა და უნგრული წარმოების გვერდზე მისაბმელი ეტლის „დუნას" სათადარიგო ნაწილებს.

სათადარიგო ნაწილები იგზავნება ფოსტით მოქალაქეთა ინდივიდუალური შეკვეთით.

შეკვეთის მისაღებად აუცილებელია შეივსოს შეკვეთის სპეციალური ფურცელი ან გაფორმდეს ჩვეულებრივი წერილი.

წერილი-შეკვეთა იგზავნება მისამართით: მოსკოვის ოლქი ქ. პოდოლსკი 142107, პოლოტნი შესახვევი № 4, ამანათვაჭრობის ბაზა.

საქლესი

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს

შვეიცარია

მეგობრობის ერთთვიური

ლოკარნოლმი, 16 ოქტომბერი. (საკლესი). შვეიცარიაში დაიწყო შვეიცარია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება. ლუქსელში, შელეფუტეაში, სუნდსვალსა და ფინეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებში ერთთვიურის ფარგლებში ეწყობა საბჭოთა წიგნების გამოფენები, ფოტოეკსპოზიციები, შემოქმედითი კოლექტივების გასტროლები, აჩვენებენ კინოფილმებს. მეგობრობის ერთთვიურის პროგრამა მოიცავს ოხსენებებსა და ლექციებს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის, სსრ კავშირის ხალი კონსტიტუციის შესახებ.

კონფერენციის დამთავრდა

პარიზი. (საკლესი). პარიზში დამთავრდა ევროთამორიანი კონფერენცია ახლო აღმოსავლეთში მართლიანი მშვიდობის მიღწევის საკითხებზე, რომლის მონაწილეებმა მოუწოდეს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს ერთად ოქმედონ, რათა ხელი შეუშალონ ახლო აღმოსავლეთში ახალი ნფლიქტის წარმოშობას, და აღწიონ სამართლიან მოწესრიგებას.

ბოლოს დეკლარაციაში მათ ხგასმით აღნიშნეს, რომ საქართველო შეიძლება მალე მოიწვიონ ევის საზავო კონფერენცია, ოელმა გაათავისუფლოს ყველა უპირობოდ არბული ტერორისტი და ცხოს პალესტინელი ხალ- ეროვნული უფლებანი, კერძ- დამოუკიდებელი სახელმწიფ- შექმნის უფლება.

ვიეტნამოვნ აკრძალვას

ნიუიორკი. ამერიკის აცუგის საზღვრო-საპაერო ბაზიდან ფრენა და აიკრძალოს, სანამ არ გამოებენ „ფ-4" ამერიკული ავიანადგურებლის კატასტროფის ეზებს, რომლის შედეგად დაიკარგა ორი ბავშვი და დაშავდა ფი კაცი. ასეთი ბოთხოვნა გაგზავნა ქალაქ იოკოჰამის მერმა ტოკიოს სამხედრო სარდლობას.

ბელგრადის შეხვედრაზე

ბელგრადი, (საკლესი). სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ბელგრადის შეხვედრის აქ მიმდინარე დახურულ სხდომებზე დაიწყო მუშანატარულ და სხვა დარგებში თანამშრომლობის საკითხთა განხილვა. როგორც ცნობილი გახდა, დისკუსიის ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ თათბირის შემდგომ ორ წელიწადში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული ჰელსინკის იმ მორიგებათა განხორციელებაში, რომლებიც ეხება ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის გაფართოებას ინფორმაციის, კულტურული გაცვლის, განათლებისა და კონტაქტების დარგში.

მაგრამ ჯერ კიდევ არის ფაქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საბოლოო აქტის სულისკვეთებასა და მორიგებებს. პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის ხელისუფალთა მოქმედებით, „უფრო სწორედ კი უმოქმედობით, რომელიც არაფერს არ აკეთებს იმისათვის, რომ აღკვეთოს პროგოკაციული გამოხდომები საბჭოთა კულტურული ღონისძიებების წინააღმდეგ, როცა ცალკეულ შემთხვევებში საფრთხეს უქმნიან საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლეს. იგივე შეიძლება თქვას, განაგრძო მან, იმ ფაქტებზე, როცა შეიარაღებული პირნი ესხმიან ხოლმე თავს ავროფლოტის, საკადესის წარმომადგენლობებს, საბჭოთა კავშირის სავაჭრო, დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენლობებს მთელ რიგ ქვეყნებში. გრძელდება მტრული ცილისწამებლური და ძირგამომთხრელი პროპაგანდა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ორის მიმართულ.

საპროტესტო კამპანია

ჟენევა. (საკლესი). ათი ათასმა შვეიცარიელმა მოაწერა ხელი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი მიმართვას, რომელშიც პროტესტს გამოთქვამენ ომის გამო, რომ პენტაგონი ამარებს დაიწყოს ნეიტრონული იარაღის წარმოება.

ნეიტრონული ბომბის საწინააღმდეგო კამპანიას, რომელიც შვეიცარიის მშვიდობის მოძრაობამ დაიწყო, ფართოდ უჭერენ მხარს ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში და პრაქტიკულად შვეიცარიის ყველა კანტონში გავრცელდა.

ეუ-ის ეს რიდან

„მუნდო ობრერის" დღესასწაული

● მადრიდი. აქ „ფერია დელ კამპოს" საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა ესპანეთის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური ორგანოს გაზეთ „მუნდო ობრეროს" დღესასწაული. დღესასწაულს ესწრებოდა კომუნისტური და მუშათა პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ოცამდე დელეგაცია. სტუმრებს შორისაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი ვ. გ. აფანასიევი.

სტუდენტთა რიცხვი მცირდება

● ბონი. სიძვირის ზრდა ისრაელში ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვის შემცირების თავარი მიზეზია. ასეთი დასკვნა გამოიტანა უმაღლესი განათლების საქმეთა ეროვნულმა საბჭომ თავის მოხსენებაში ისრაელის განათლების სისტემის საქმის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სწავლის ფასის მომატებას მოაყვა საშიში ტენდენცია — სტუდენტთა რიცხვის შემცირება. ისრაელის გაზეთები, რომლებმაც ეს მოხსენება გამოაქვეყნეს, წერენ, რომ მოხსენების ავტორებმა ვეღარ გაბედეს ზუსტად დაესახელებინათ იმ ქალაშვილების და ჭაბუკების ციფრი, რომლებმაც უნივერსიტეტის აუდიტორიები მიატოვეს.

მოკლედ

ეუ-ის ეს რიდან

„მუნდო ობრეროს" დღესასწაული

● მადრიდი. აქ „ფერია დელ კამპოს" საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა ესპანეთის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური ორგანოს გაზეთ „მუნდო ობრეროს" დღესასწაული. დღესასწაულს ესწრებოდა კომუნისტური და მუშათა პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ოცამდე დელეგაცია. სტუმრებს შორისაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი ვ. გ. აფანასიევი.

სტუდენტთა რიცხვი მცირდება

● ბონი. სიძვირის ზრდა ისრაელში ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვის შემცირების თავარი მიზეზია. ასეთი დასკვნა გამოიტანა უმაღლესი განათლების საქმეთა ეროვნულმა საბჭომ თავის მოხსენებაში ისრაელის განათლების სისტემის საქმის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სწავლის ფასის მომატებას მოაყვა საშიში ტენდენცია — სტუდენტთა რიცხვის შემცირება. ისრაელის გაზეთები, რომლებმაც ეს მოხსენება გამოაქვეყნეს, წერენ, რომ მოხსენების ავტორებმა ვეღარ გაბედეს ზუსტად დაესახელებინათ იმ ქალაშვილების და ჭაბუკების ციფრი, რომლებმაც უნივერსიტეტის აუდიტორიები მიატოვეს.

„ოქროს" ნაპოვნი

აპალაჩოს რაიონული პროკურატურის შოფერი ხ. მაგიევი სამუშაოდან ბრუნდებოდა. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე, ძველი სახლის მახლობლად, მან გზის პირას შეამჩნია ოქროს მონეტა, მერე კი მეორე. კომკავშირელმა მაშინვე აცნობა ამის შესახებ მილიციის რაიონულ განყოფილებას. გათხრების დროს აღმოაჩინეს ორი ქოთანი, რომლებიც 1893-1903 წლებში მოჭრილი რუსული ოქროს თუმნიანებით იყო სავსე. განძი, რომელიც 1 კილოგრამსა და 300 გრამს იწონის და 1365 ოქროს მანეთად ფასობს, გაგზავნეს მოსკოვში, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროში.

ეუანანი.

(საკლესის კორ.).

სადღესასწაულო ბაზრობა თბილისში

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ თბილისის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს მუშაკებმა გადაწყვიტეს ყველაფერი იღონონ, რათა რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლებმა და სტუმრებმა ნაკლები დრო დახარჯონ ხოლმე საჭირო პროდუქტების და საქონლის შესაძენად. სიახლე იქნება დიდი სადღესასწაულო ბაზრობა, რომელიც გაიმართება 1-7 ნოემბერს პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრზე — დიდუბეში.

დღეს დიდუბის საკოლმეურნეო ბაზარში კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის, რომლებსაც სურთ გაიღონონ თავიანთი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, იქმნება სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები, ფართოდება სასაწყობო შენობები, მონტაჟდება მცირე მექანიზაციის საშუალებანი, რაც შეამსუბუქებს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებს.

სახელმწიფო ვაჭრობის საწარმოები ბაზრობაზე სუვენირებთან და სხვა ნაწარმთან ერთად შემოიტანენ სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დიდძალ საქონელს, აგრეთვე ტანსაცმელს, ქსოვილებსა და ფეხსაცმელს შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის.

თუ მაცივარს ან ავეჯის კომპლექტს იყიდის, მომხმარებელი თავის განკარგულებაში მიიღებს სპეციალურ ავტომანქანას ნაყიდის შინ მისატანად.

ბაზრობაზე ეწყობა ბავშვთა ქალაქი და ატრაქციონების მოედანი, სადაც სავაჭროდ ბაზარში შესულ მშობელს შეეძლოა შვილების დროებით დატოვება.

სპეციალისტთა აზრით, პირველი მაისის რაიონის დიდუბის საკოლმეურნეო ბაზარზე გაფართოებული ბაზრობა შეახამებს წარსულის კარგ ტრადიციებსა და საბჭოთა სავაჭრო კულტურის საუკეთესო ნიმუშებს. (საქინფორმი).

□

„ოქროს" ნაპოვნი

აპალაჩოს რაიონული პროკურატურის შოფერი ხ. მაგიევი სამუშაოდან ბრუნდებოდა. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე, ძველი სახლის მახლობლად, მან გზის პირას შეამჩნია ოქროს მონეტა, მერე კი მეორე. კომკავშირელმა მაშინვე აცნობა ამის შესახებ მილიციის რაიონულ განყოფილებას. გათხრების დროს აღმოაჩინეს ორი ქოთანი, რომლებიც 1893-1903 წლებში მოჭრილი რუსული ოქროს თუმნიანებით იყო სავსე. განძი, რომელიც 1 კილოგრამსა და 300 გრამს იწონის და 1365 ოქროს მანეთად ფასობს, გაგზავნეს მოსკოვში, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროში.

ეუანანი.

(საკლესის კორ.).

ეუწყება, რომ შემკვეთებს უგზავნის მოტოციკლ „ანიონია-250"-ისა და უნგრული წარმოების გვერდზე მისაბმელი ეტლის „დუნას" სათადარიგო ნაწილებს.

სათადარიგო ნაწილები იგზავნება ფოსტით მოქალაქეთა ინდივიდუალური შეკვეთით.

შეკვეთის მისაღებად აუცილებელია შეივსოს შეკვეთის სპეციალური ფურცელი ან გაფორმდეს ჩვეულებრივი წერილი.

წერილი-შეკვეთა იგზავნება მისამართით: მოსკოვის ოლქი ქ. პოდოლსკი 142107, პოლოტნი შესახვევი № 4, ამანათვაჭრობის ბაზა.

ეუ-ის ეს რიდან

ეუ-ის ეს რიდან

ეუ-ის ეს რიდან

ეუ-ის